ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხელოვნება

1977 1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# იმრე მადაჩი

# ადამიანის ტრაგედია

## მეორე სცენა

*სამოთხის ბაღი. შუაში დგას ხე-ცხოვრებისა და ხე-ცნობადისა. გამოჩნდებიან ადამი და ევა. ციური კარების იქით მოჩანს შარავანდედის ბრწყინვალება. მოისმის ანგელოზთა ქოროების ნაზი გალობა. ნათელი, მზიანი დღეა.*

ევა. ო, რა კარგია აქ ცხოვრება!
ადამი. და ბრძანებლობა!
ევა. როცა გრძნობ ზრუნვას მფარველისას, და გინდა მხოლოდ
მადლიერებით აღავლინო სადიდებელი
მისდამი, ვინც ეს ჭეშმარიტი სიკეთე მოგვცა!
ადამი. მე როგორც ვხედავ, მისწრაფება შენი პირველი
მხოლოდ ის არის, იყოლიო მფარველი დიდი!
მე წყურვილი მკლავს. ნახე როგორ ელავს ნაყოფი.
რა მაცდურად და სასურველად.
ევა. მე მოვწყვეტ მას.
მამალმერთის ხმა: ადამ შესდექი! დედამიწის მფლობელი შენ ხარ,
მაგრამ ამ ხეს კი დაანებე თავი, ნუ გინდა;
იგი სხვა უცხო, ბოროტ სულის კუთვნილებაა,
ვინც მას იგემებს, უეჭველი სიკვდილი ელის.
აგერ, ელვარებს დამკრახული ყურძნის მტევანი,
ჩრდილი საამო და მსუბუქი თავისკენ გიწვევს,
რომ განერიდო ამ შუადღის სიცხეს მცხუნვარეს!
ადამი. უცნაურია ეს აკრძალვა, მაგრამ ეტყობა,
არა უბრალო და ამაო!
ევა. კი, მაგრამ რისთვის,
რად აგვიკრძალეს ამ მშვენიერ ორ ხესთან მისვლა?
ადამი. მასაც იკითხავ რატომ არის ცა ასე ლურჯი
და ტყე კი მწვანე? ასე არის საჭირო ალბათ!
წავიდეთ ევა, შევეფაროთ აქვე გრილოში!
*(ჩრდილისაკენ მიემართებიან)*

ევა. თავი მოაყრდენ ამ ჩემს მკერდზე, მე მწვანე რტოებს
მოგინიავებ და ცხელ ჰაერს მით გავაგრილებ,
*(უცებ ქარი ამოვარდება, ტოტებს შორის გამოჩნდება ლუციფერი)*

ადამი. ნეტავ რა მოხდა? ასე უცებ რა შეიცვალა?
თითქოს მოვარდა რაღაც მტრული, ბოროტი ძალა
და გვემუქრება!
ევა. მაცახცახებს, რა ხდება ირგვლივ,
ასე მგონია, შეწყდა ყველა ციური ხმები.
ადამი. არა! შენს მკერდზე კიდევ მესმის მათი გალობა!
ევა. მე კი, როდესაც ქრება ქვეყნად შუქთა ციაგი,
მათ შენს თვალებში ვხედავ, ადამ! ან სხვაგან სადღა
მოვიძიებ მას. მე, შექმნილი შენი სურვილით?
სწორედ ასეა, მოკაშკაშე მზე დიდებული
როდესაც იგრძნობს მარტოობის სიმძიმეს ცაზე,
თავისვე სახეს აისარკავს წყლის სიღრმეებში.
მას ეფერება, სხივებს ტყორცნის, ელაციცება
ვითომც ტოლი და ამხანაგი ეპოვოს მასში.
თითქოს ივიწყებს ზვიადი და დიდსულოვანი,
რომ ის ასლია მხოლოდ მისი და ანარეკლი!
ადამი. ნუ მეუბნები, მაგას, ევა! მე უეჭველად
არარაობა ვიქნებოდი მხოლოდ და მხოლოდ
ამ ჩემს გულისთქმას შენი ექო რომ არ ერთვოდეს
და ჩემს არსებას მე რომ შენში არა ვხედავდე.
შენ ხარ ყვავილი მშვენიერი ყოფიერების,
რომელშიც ვხედავ ჩემს თავსაც და მიყვარს მე იგი!
ლუციფერი. ო, როგორ ნაზად ტიკტიკებენ! ისღა მაკლია,
რომ ანგარიშით სავსე ჩემი ცივი გონება
მათი ტიკტიკით მოიხიბლოს! მე შევბრუნდები!
ევა. უყურე ადამ, ყური უგდე, ხომ შეამჩნიე,
რომ ეს სულელი ჩიტუნიაც სიყვარულს უმღერს!
*(ახლო ტოტზე ჩიტი აჭიკჭიკდება)*
ადამი. მე ყურს ვუგდებდი ჩანჩქერების დიდებულ შხუილს
და მომეჩვენა, რომ ის მღერის.
ლუციფერი. რა უქმად ვდგავარ,
რაღას ვაყოვნებ? ჩქარა საქმე! ხომ დავიფიცე,
რომ მათ დავღუპავ, — მოსახდენი რაც არის, მოხდეს!
მე მაინც ვეჭვობ, გავისარჯო იქნებ ამაოდ
და იარაღი ცდუნებისა არ გამომადგეს.
იქნება ველარც შემეცნებამ, ველარც პატივმა
მათ ვერ აჯობოს, მათი გული ვერ დაიმონოს ,
და სულით უფრო აამაღლოს?
თუმცა რას ვყოყმანობ?
ვინც იბრძვის მხოლოდ ის იმარჯვებს!
*(ქარი ისევ ამოვარდება. ადამიანთა შეშინებული წყვილის წინაშე კვლავ გამოჩნდება ლუციფერი, ციაგი კრთება.)*
რაზე ჩაფიქრდით?
*(მიმართავს გასაქცევად გამზადებულ ევას)*
მომხიბლავო ტურფა ქმნილებავ,
შეჩერდი, მინდა შენი სახე რომ გულში მქონდეს,
მსურს ერთი წამით შემოგხედო და დავტკბე შენით!
*(ევა შეჩერდება. თანდათანობით გაბედულება ემატება)*
ლუციფერი *(განზე თავისთვის).*
აჰა, დაიწყო, რომ მარადჟამს კვლავ განმეორდეს!
ლუციფერი *(ხმამაღლა, ადამს).* რა, შეგეშინდა?
ადამი. მე? შენი? ო, არარაობავ!
ლუციფერი *(გვერდზე თავისთვის).*
ო, მშვენიერი წინაპარი ჰყავს მამლაყინწა
აყალმაყალის მოტრფიალე კაცების მოდგმას!
*(ხმამაღლა)*
სალამი, ძმაო!
ადამი. შენ ვინა ხარ, საიდან მოხველ,
მაღლით გვესტუმრე თუ ქვესკნელის ხარ მოციქული?
ლუციფერი. როგორც გინდოდეს! მაღლაც, დაბლაც, ჩვენთვის ერთია!
ადამი. მე არ ვიცოდი, აქ ჩვენს გარდა თუ ვინმე იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ უ ც ი ფ ე რ ი. ოჰო! ჯერ სად ხარ, მრავალია კიდევ ისეთი,
რაც შენ არ იცი, და ვერასდროს ველარ გაიგებ!
განა მოხუცმა თიხისაგან შეგქმნა იმისთვის,
რომ ეს სამყარო შენთან ერთად გაინაწილოს?
შენ შემქმნელს აქებ, იგი გაძლევს სარჩოს და საკვებს,
ერთს თუ გაჩეჩებს თითქმის ძალად, მეორეს კრძალავს,
გივლის და გწყემსავს ვით უმწეო, უმანკო ცხოვარს
და აზროვნების ნატამალიც შენთვის უცხოა!
ა დ ა მ ი. მე არ ვაზროვნებ? როგორ, ნუთუ მე არ ვაზროვნებ!
მე კარგად ვხედავ მზის სხივების დიდებულებას,
ვგრძნობ ნეტარებას ამ მიწაზე არსებობისა,
ვგრძნობ, რომ წყალობით და სიკეთით მამა უფლისა
ღმერთი ვარ მიწის!
ლ უ ც ი ფ ე რ ი. ასე ფიქრობს უბრალო ჭიაც,
როცა სიამით შეექცევა სასურველ საკვებს.
ანდა არწივი, როცა იჭერს მცირე წიწკანას!
შენ კი რითი ხარ მათზე უფრო კეთილშობილი?
მხოლოდ მბჟუტავი ნაპერწკალი ციმციმებს თქვენში
და უსასრულო მოძრაობის ძალის შეგნება;
ისე ვით წყარო მიწანწკარე ერთვის ნიაღვარს
და უბრუნდება ყოვლისმომცველ დიდ მდინარებას,
ისე გონებას, რაიც ახლა ჩამალულია
შეუგნებელ და შეუცნობელ გულის სიღრმეში,
ძალუძს გაქციოს სრულფასოვან ამაყ არსებად,
რომ საკუთარი ძალითა და რწმენით აღსავსეს
თვითვე შეგეძლოს გაარჩიო კარგი და ავი,
შეგეძლოს შენი საკუთარი ბედის წარმართვა
და ბედისწერას შეხვდე მუდამ თავაწეული.
არადა, თუ გსურს, იფუსფუსე ვით ნეხვის ხოჭომ,
მოემწყვდიე და ინებივრე მყუდრო ბუნაგში,
ბრმამ და უბირმა გაატარე შენი ცხოვრება.
დიახ, ძნელია მყუდროების რწმენის დაკარგვა!
უფრო ძნელია, რომ საკუთარ ფეხებზე იდგე!
ა დ ა მ ი. მე ტვინს მიბნელებს ეგ ბრტყელ-ბრტყელი შენი სიტყვები!
ე ვ ა. მე მაღფრთოვანებს მშვენიერი სიახლე იგი!
ლ უ ც ი ფ ე რ ი. მაგრამ უნარი შეცნობისა მაინც ცოტაა!
მისთვის რომ დიად შენს განზრახვებს შეასხა ხორცი,
საჭირო არის უკვდავება! მარად სიცოცხლე!
რადგანაც ხანი წუთისოფლის მეტად მცირეა!
სწორედ ორი ხე, რომელიც დგას აქვე, მახლობლად,
თქვენ მოგანიჭებთ ყოველივეს, მაგრამ უფალი
თქვენი შემქმნელი და გამჩენი სასტიკად კრძალავს
თქვენთვის გასინჯვას ამ ხეების ნუგბარ ნაყოფის.
რათა არ გქონდეთ თქვენ უნარი ყველაფრის ცოდნის,
მარადი ნორჩი აღტაცების და შთაგონების.
ე ვ ა. მართლაც რომ მეტად მკაცრი არის ჩვენი შემქმნელი!
ა დ ა მ ი. შენ არა სტყუი?
(ციაგი ოდნავ უმატებს კაშკაშს)
ც ი უ რ ი ქ ო რ ო. საშინელი ამბავი ხდება,
ძრწოდე, სამყაროვ, მეორდება ცდომა მარადი!
ღ მ ე რ თ ი ს ხ მ ა. ფრთხილად, ო, ფრთხილად, გეშინოდეს
ადამიანო!
ა დ ა მ ი. ეს რა ხმა ისმის?
ლ უ ც ი ფ ე რ ი. არაფერია, დამშვიდდი, ადამ!
ქარის შრიალს ტოტების ხმა ერთვის,
სტიქიონნო, მომეხმარეთ, თქვენთვის,
რომ დავიპყრო — გავიხადე მიზნად
საუკუნოდ, მოდგმა ადამისა!
(ქარი ამოვარდება და ციაგი ქრება)
ლ უ ც ი ფ ე რ ი. ის ორივე ხე მხოლოდ ჩემი საკუთრებაა!
ა დ ა მ ი. შენ თვითონ ვინ ხარ? შესახედად მსგავსი ხარ ჩვენი!
ლ უ ც ი ფ ე რ ი. შეხედე არწივს — რა ამაყად ბოინობს ცაში,
შეხე თხუნელას — ჩაურგია მიწაში თავი,
ყველას თავისი სამოქმედო აქვს ასპარეზი.
შენი სამყაროს მიღმა არის სამყარო სულთა.
როგორც შენთვის დგას კაცი ქვეყნად ყველაზე მაღლა,
ისე ძაღლისთვის იდეალი ძაღლია ქვეყნად.
ძაღლიც თუ ძაღლად ჩაგთვალა მან თვისად მიგიჩნევს.
მაგრამ შენ თუმცა გეჯავრება ძაღლების მოდგმა
ვით ღმერთი, ანდა ბედისწერა, ხან ეფერები
და ხან მას სახრეს გადაამტვრევ წყევლით და კრულვით.
ჩვენც ასე, მარად გადმოგყურებთ ზევიდან ქვევით
ჩვენ, გულამაყი მოციქულნი სულების ქვეყნის!
ა დ ა მ ი. ისე გამოდის, შენც ერთ-ერთი ხარ მათთაგანი!
ლ უ ც ი ფ ე რ ი. დიახ, ეს მე ვარ უმძლავრესი ძლიერთა შორის!
ყველაზე ახლოს მე ვიდექი უფალის ტახტთან
და მის მშვენიერ შარავანდედს ვიზიარებდი.
ა დ ა მ ი. რად მიატოვე მოელვარე ის ლაჟვარდები
და დედამიწას რად ესტუმრე, რისთვის მოხვედი?
ლ უ ც ი ფ ე რ ი. მე იქ მომწყინდა ყოფნა მუდამ მეორე კაცად,
მომწყინდა მუდამ უშფოთველი წყნარი ცხოვრება,
ღვთის მაქებარი ბავშვისხმება ხმატკბილი ქორო,
რომელიც მუდამ ადიდებდა უფლის დიდებას,
თითქოს ამ ქვეყნად ცოტა იყოს ზინთი და ჭუჭყი.
დისჰარმონია მომენატრა, მომწყინდა ბრძოლა,
რომელიც ბადებს ახალ ძალას, ახალ სამყაროს.
სადაც იწრთობა მეამბოხე ძლიერი სული,
იქ ჩემთან ერთად ის წამოვა ვინც მამაცია!
ა დ ა მ ი. უფალმა ღმერთმა ჩვენ გვიბრძანა, რომ დაგვსჯის იგი,
თუ კი აკრძალულ გზებით ვივლით. მას ვერ გადავალთ.
ე ვ ა. რათ დავისჯებით? თუ კი მამა-ღმერთმა დასახა
გზები, რომლებსაც უნდა გავყვეთ მისივე ნებით,
იგივე ღმერთი ჩვენ შეგვქმნიდა სწორედ ისეთებს,
რომელთაც ცოდვა მრუდე გზაზე ვერ გადაიყვანს.
მაშ, რად გვაყენებს თავბრუდამხვევ უფსკრულის პირას?
ხოლო თუ ცოდვაც მამა-ღმერთის განზრახვითაა,
ვით ქარიშხალი მოალერსე თბილ დღეთა შორის,
მაშინ მერეხი რად იქნება უფროორე ცოდვა,
ვიდრე ნათელ და მზიან დღეთა ნაზი ალერსი?
ლ უ ც ი ფ ე რ ი. აი, პირველი გაჩნდა კიდეც ფილოსოფოსი!
პირმშვენიერო ჩემო დაო, შენ მოგყვებიან
წყება და წყება იმ მომავალ მოკამათეთა,
ამავ საკითხზე რომ ექნებათ კვლავაც მსჯელობა.
ერთთა ხვედრია სიგიჟეთა გლუვი კედლები,
სხვანი თავის აზრს გადათქვამენ, მაგრამ პასუხი
ამ საკითხს მაინც არ ექნება, თავს ნუ ვიტკიებთ!
ყოველი ნივთი ამა ქვეყნად ისე ჭრელია,
რომ ვინც კი მისას მოინდომებს ბოლომდე ცოდნას
უფრო ნაკლებად გაიგებს მას, ვიდრე პირველად
რაც მის შესახებ რამ იცოდა და ვერც მოასწრებს
რაიმე საქმის გადაწყვეტას, რადგანაც განსჯა,
ჩაფიქრება, ყოყმანი, ფიქრი
სიკვდილი არის მოქმედების!
ე ვ ა. მე ველარ ვითმენ,
უნდა მოვწყვიტო აკრძალული ერთი ნაყოფი!
ა დ ა მ ი. დაწყევლილია ღმერთის მიერ!
(ლუციფერი ხარხარებს)
მაგრამ მოწყვიტე!
რაც არის, არის, მოსახდენი მაინც მოხდება.
ჩვენც ისე ვით ღმერთს, ყველაფერი გვეცოდინება.
(ჯერ ევა, შემდეგ ადამი ჭამენ შემეცნების ხის ნაყოფს)
ე ვ ა. ახალგაზრდები და ლაღები ვიქნებით მუდამ!
ლ უ ც ი ფ ე რ ი. აი, მარადი ცხოვრების ხე, უნდა აჩქარდეთ!
(ადამი და ევა მეორე ხისაკენ მიჰყავს, მაგრამ მათ ქერუბიმი მახვილით წინ გადაუდგება).
ქ ე რ უ ბ ი მ ი. შორს, მკრეხელებო!
ღ მ ე რ თ ი ს ხ მ ა. ადამ, რადგან გადამიდექი,
მეც მიგატოვებ, რად ივარგებ შენ მარტოდმარტო?
ე ვ ა. დავიღუპენით!
ლ უ ც ი ფ ე რ ი. შეშინდით განა?
ა დ ა მ ი. სულაც არა! შიში კი არა,
ეს გულვიძების ყრუანტელი მომედო მხოლოდ!
აქედან ჩქარა, უნდა ჩქარა წავიდეთ, ცოლო!

უცხოდ გადიქცა, მიუსაფრად ჩვენთვის სამოთხე.
წავიდეთ ჩქარა, საითაც გსურს, ჩქარა წამომყე!
ც ი უ რ ი ქ ო რ ო. იტირეთ ძმებო, ცრემლები ღვარეთ!
დაიქცა მიწა, სიცრუე ხარობს!

## მ Ე Ს Ა მ Ე ს Ც Ე ნ Ა

სამოთხის მშვენიერი შემოგარენი. მომცრო, უხეშად შეკოწიწებული ხის ქოხი. ადამი ზღუდის სამანს არჭობს მიწაში, ევა კარავს აშენებს. იქვეა ლუციფერი.

ა დ ა მ ი. მთელი სამყაროს ნაცვლად აქ ვარ ბატონ-პატრონი,
ჩემი საუფლო ახლა მხოლოდ ეს ადგილია!
უნდა მოვლობო ეს მიდამო, უნდა დავიცვა
და მოვიწიო ჩემი შრომით პური არსობის.
ე ვ ა. მე კი აქ კარავს ავაშენებ. სწორედ იმდაგვარს
ვით სამოთხეში მქონდა იგი. უნდა ედემი
კვლავ დავიბრუნო. სასწაულით.
ლ უ ც ი ფ ე რ ი. ჭეშმარიტებას,
ჭეშმარიტებას ღაღადებენ თქვენი ბაგენი:
დიახ, ოჯახი, საკუთრება! ეს ორი ძალა,
ყველა სიხარულს, ყოველივე ტანჯვა-წამებას
განსაზღვრავს ქვეყნად, ის იქნება მისი მიზეზი.
ცოტა დროც გავა, შეიქმნება შემდეგ მამული,
და მრეწველობაც შეიქმნება, კეთილდღეობის,
განდიდების და აღზევების დამბადებელნი,
რომელნიც ისევ თვით შთანთქავენ თავის სიკეთეს!
ა დ ა მ ი. რაღაც ბუნდოვნად ლაპარაკობ! შენ მე დამპირდი
ყველაფრის ცოდნას და ამისთვის ვთქვი მე უარი
იმ სიკეთეზე, რაც გამაჩნდა. მე მოვინდომე,
რომ თუნდაც ბრძოლით, მაგრამ მაინც დიადი გავხდე.
შედეგი არ ჩანს ჯერჯერობით.
ლ უ ც ი ფ ე რ ი. ნუთუ ვერ ხედავ?
ა დ ა მ ი. ვერაფერს ვხედავ.
მხოლოდ ვგრძნობ, რომ დამტოვა ღმერთმა
და დავრჩი ასე უსუსური და მარტოდმარტო.
მეც მივატოვე მამაღმერთი. და თვით შევიქმენ
ღმერთი საკუთარ თავისათვის და რასაც ჩემით
ვნახავ, მივაღწევ, მოვიპოვებ და დავიუფლებ,
ის არის ჩემი ძლიერება და სიამაყე!
ლ უ ც ი ფ ე რ ი (განზე თავისთვის).
ერთი უყურეთ ამ მასხარას, ცა მიატოვა,
მაგრამ შეკრთება მეხის ერთი ქუხილის ხმაზეც!
ე ვ ა. მე კი გავხდები ამ მიწაზე სიცოცხლის დედა
და ეს იქნება სიამაყე ჩემი პირველი!
ლ უ ც ი ფ ე რ ი (განზე, თავისთვის).
შენ მართალს ამბობ: მე ქალისგან იმას მოველი:
უკვდავყოს მისი ცოდვიანი ყინი ყოველი!
ა დ ა მ ი. რისთვის ვადიდო შემოქმედი? არსებობისთვის?
თუ ყოფა იქნა დიდებული და მშვენიერი
მხოლოდ ჩემს გარჯას და ჩემს შრომას უნდა ვუმადლო.
მე ნატარებას თუ მანიჭებს ჩუხჩუხა წყალი,
ეს ნეტარება ჯდება ჩემი წყურვილის ფასად,
ხოლო მხურვალეს, მონატრებულს ხვევნას და ალერსს
სდევს უეჭველი გულაღრენა და მოყირჭება.
მომწყინდა უკვე ყველაფრისთვის რომ ვთქვა „მადლობა“,
თვითონვე შევქმნი მე ბედს ჩემსას და თვით დავანგრევ
მას, რაც წვალებით შემიქმნია, ო, ლუციფერო,
მასში კი შენი დახმარება არ დამჭირდება!
ჩემი დამხმარე თვით იქნება ჩემი მარჯვენა —
ჰომ არ მიხსენი შენ, მტანჯველი ბორკილისაგან,
თუმცა იქნება, ეს ბორკილი, უფრო წვრილია,
ვიდრე თმის ბეწვი რომელიმე, უფრო სასირცხვო
არის, რომ იგი მიბორკავს სულს ამაყს და ძლიერს!
მინდა ცად ფრენა, მაგრამ დაბლა მქაჩავს სხეული
არად მარგია თვალთა ხედვა და ყურთა სმენა
და როცა მინდა ამოვიცნო ამოუცნობი
ოცნება ჩემი მიმაქროლებს ლაჟვარდებისკენ.
მაგრამ შიმშილი მაიძულებს დავბრუნდე უკან
და ამ ცხოვრების ტალახებში ვიძრომიალო!
ლ უ ც ი ფ ე რ ი. ჩემზე მძლავრია ის ბორკილი!
ა დ ა მ ი. მაშასადამე,
შენ მხოლოდ ერთი, უმნიშვნელო სუსტი სული ხარ,
რადგან არ ძალგიძს მოერიო ობობას იმ ქსელს,
რომელსაც ქვეყნად უამრავი მცირე არსება
ვეღარც კი ამჩნევს და ნავარდობს ისე თამამად
მასში, რომ თითქოს თავისუფლად და ლაღად იყოს.
მხოლოდ იშვიათ, ამაღლებულ გონებას ძალუძს
იეჭვონ მისი არსებობა!
ლ უ ც ი ფ ე რ ი. დიახ, მხოლოდ მას,
მას შეუძლია შემებრძოლოს და ამიჯანყდეს.
ისიც ისეთი სული არის, როგორიც მე ვარ.
იგი მოქმედებს შეფარულად და უხმაუროდ
არა მისთვის, რომ უძლურია, სწორედ პირიქით —
ვინაც წარმართავს ამ სამყაროს და მას განაგებს
თვითონ წყვდიადში იმალება, რომ მისმა ხილვამ
არ დაუბნელოს ჭკვა-გონება მის შემხედვარეს.
ამ ქვეყანაზე მათი საქმე ყვირის და ბრწყინავს
ვინც დღემოკლეა.
ა დ ა მ ი. თუ ეგრეა, მაშ ნება მომეც
თუნდ ერთი წამით გადავხედო ქმედობას სულთა!
შენ კარგად იცი, ვარ მტკიცე და სულით ძლიერი,
და არ შემაკრთობს არაფერი, რადგანაც თვითვე
დღეს მე ვარ ჩემივ მბრძანებელი და განმგებელი!
ლ უ ც ი ფ ე რ ი. სისულელეა! „დღეს მე ვარო“, რადგანაც ადრეც
შენვე იყავი, მომავალშიც შენვე იქნები.
სიკვდილ-სიცოცხლის თამაშია ცხოვრების არსი.
აბა ახლა კი ირგვლივ ფხიზლად მიმოიხედე!
ა დ ა მ ი ((ყველაფერი, რაზეც იგი ლაპარაკობს, გამოისახება).
ეს რა ნაკადი დატრიალდა ჩემს ირგვლივ ნეტავ,
როგორ მიილტვის გამალებით ზევით და ზევით,
რომ შემდეგ ორად გაყოფილი პოლუსებისკენ
მსწრაფლ გაექანოს, დააკვირდი...
ლ უ ც ი ფ ე რ ი. ეს ის სითბოა,
რასაც სიცოცხლე მიაქვს ყინულთ სამფლობელოში.
ა დ ა მ ი. უყურე იმ ცეცხლს, ორი ალი ასე ზანზარით
რომ ამოიჭრა და მიილტვის სხვადასხვა მხარეს,
როგორ მაკრთობენ, მეშინია თან არ წამიღოს!
საოცარია, თან მქანცავენ, თანაც მაღგზნებენ!
ლ უ ც ი ფ ე რ ი. მაგნეტიზმია, რასაც ხედავ!
ა დ ა მ ი. ირყევა მიწა!
მიწა, რომელიც ჩანდა მყარ და უფორმო მასად,
ახლა თუხთუხებს, დუღს და ეძებს სულ ახალ ფორმას,
სურს ხან კრისტალად გადაქცევა, ხან კვირტის სახით
უნდა სიცოცხლე დაიმკვიდროს: შენ კი რა გელის,
შენ რად იქცევი უსაშველო ორომტრიალში
საკუთარ თავში ჩაკეტილო ჩემო მეობავ.
შენ რა მოგელის ნეტავ მაინც ჩემო სხეულო,
შენ, ვისაც ასე სულელური ნდობით მოგყევი,
როდესაც ლამაზ მომავალზე ფიქრით აღსავსე
ასე მოგენდე და იმედით შემოგცქეროდი.
ო, ნაფერებო ჩემო ბავშვო, სხეულო ჩემო,
რომელიც მაძლევ სიხარულს და სიმწუხარესაც,
ო, ნუთუ შენაც გადიქცევი ნაცრად და ტუტად.
ნუთუ სხეული ასე რიგად აღვივებული,
ასე სიცოცხლის მოხარული, გაქრება მაშინ,
როს მე მოვკვდები და ცის ღრუბლებს შეუერთდება!
ვგრძნობ ყოველ სიტყვით, და ყოველი ფიქრით და განცდით
ვხარჯავ არსობის თითო მარცვალს და ვიფერფლები!
იქნება ახლა საიდუმლო ბოროტი სული
კიდეც უბერავს სულს იმ კოცონს, რომელზეც ვიწვი,
რომ ჩემი ტანჯვით იხაროს და ხელიც მოითბოს!
ახლა კი კმარა ეს წამება! ლამის გავგიჟდე!
როგორ ვებრძოლო მარტოდმარტომ ბუნების ძალებს
და სიმარტოვეს! საშინელი ხვედრი მხვდა წილად!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, რად დავტოვე, უარვყავი ღვთიური მხარე,
რომელსაც გრძნობით შევტრფოდი და ვერ ვაფასებდი
და გონებითაც მიველტვოდი, მაგრამ ამაოდ?
ე ვ ა. შენ მართალს ამბობ, ყოველივე ამას მეცა ვგრძნობ!
როცა შენ რისხვით შეებმები გარეულ ნადირს,
მე შემოვიარ მთას და მდელოს, მაგრამ ველარსად,
ველარც მიწაზე და ვერც ცაზე მე ვერ ვიპოვნი
მას, ვინაც შესძლებს ჩვენს დაცვას და ნუგეშისცემას.
არა გვყავს ქვეყნად ნათესავი და მეგობარი.
ო, რა ლამაზად და მშვენივრად ვცხოვრობდით აღრე!
ლ უ ც ი ფ ე რ ი (გესლიანად).
რადგანაც ასე ხართ მშიშარა და სულმდაბალნი,
გცივათ და გშიათ უმფარველოდ და უბატონოდ,
რადგანაც ეძებთ ვის ეყმოთ და ვის ემორჩილოთ —
მე მოგიძებნით ახალ ღმერთს და ახალ მბრძანებელს,
რომელიც ძველზე უფრო მეტად მოგიალერსებთ.
ეს არის სული დედამიწის. ჯერ კიდევ ცაში
ვიცნობდი მე მას — ჭაბუკს, ლამაზს და კდემამოსილს.
ო, გამოდი, სულო დედამიწის,
გაიგონე სიტყვა ჩემი თქმული,
საბრძოლველად, შესარკინად გიწვევს
მარადისი, უარმყოფი სული.
იცი კარგად, ვერავინ ჩემს გარდა
შენს მოხმობას ველარ გაბედავდა!
მიწიდან ამოვარდება ცეცხლის ალი, ცას ფარავს სქელი შავი ღრუბელი. ისმის მეხის საშინელი გრუხუნი. ცისარტყელა.
ლ უ ც ი ფ ე რ ი (უკან იხევს).
ნეტავ ვინა ხარ, საშინელი და საზარელი?
მე შენ კი არა, დედამიწის მფარველ ანგელოზს
კდემამოსილს და სათნო ყმაწვილს ვუხმე აქ მოსვლა!
დ ე დ ა მ ი წ ი ს ს უ ლ ი ს ხ მ ა.
ის, ვინც შენ ცაში ასე სუსტი გეჩვენებოდა,
საკუთარ წრეში უსასრულოდ ძლიერი არის.
აი, აქა ვარ და მზადა ვარ შენს მოსასმენად,
მაგრამ იცოდე, არ მოვითმენ ბრძანებას შენსას
და თუ მივიღე ჭეშმარიტი სახება ჩემი,
შენც ნაცრად გაქცევ და ამათაც გავანადგურებ!
ლ უ ც ი ფ ე რ ი. მაშ ეს მითხარი, შეუძლია შენს სიდიადის
ახლოს დარჩენა მოკვდავს, თუ ის ღვთაებად გიცნობს?
დ ე დ ა მ ი წ ი ს ს უ ლ ი.
დაე ის ყველგან პატივს მცემდეს, მადიარებდეს,
წყალშიც, ჰაერშიც, მთაშიც, ბარშიც, შინაც და გარეთ,
სადაც კი იგი გაიხედავს, დაუთრგუნველი
და ამაღლებულ სურვილით და სულით აღსავსე!
(ქრება).
(ჭალა და წყარო მოთამაშე ნიმფებით ივსება).
ე ვ ა. მონათესავე სახეები! შენ ხედავ, ადამ,
როგორ კეკლუცად, რარიგ სათნოდ გვესალმებიან.
გათავდა ჩვენი მარტოობა. მწვანე ჭალაში
ბედნიერება კვლავ მოვიდა ამათთან ერთად.
მოწყენილობის ჟამს ისინი მოგვიოხებენ
და კეთილ რჩევით გაგვიქრობენ სევდას და ნაღველს.
ლ უ ც ი ფ ე რ ი. სწორედ ეგრეა! იმ კითხვაზე პასუხს წინასწარ
გადაწყვეტით რომ მიგაჩნიათ, არავინ უფრო
უკეთ არ გაგცემთ, დარწმუნდებით, ვიდრე ეს მართლაც
ჰაეროვანი არსებები, მათი პასუხი
მუდამ ის არის, რაიც არის თქვენივე კითხვა.
ისინი ლხინით შეჰყურებენ გულმხიარულებს.
ხოლო დამფრთხალებს უმატებენ შიშსა და საფრთხეს.
ათასნაირი იერსახით უკან მისდევენ,
გამჭრიახ ბრძენებს სთავაზობენ განჭვრეტის სიღრმეს,
ხოლო ჭაბუკებს აღანთებენ მაღალ მიზნებით!
ა დ ა მ ი. რა ოხრად მინდა ბრწყინვალება ასეთ თამაშის?
მე ველარ ვწვდები სიღრმეს მისას და ახლა მხოლოდ
ერთ გამოცანით უფრო მეტი დამრჩა საცნობი.
აბა, გვეყოფა! ლუციფერო, ნულარა მტანჯავ,
მსურს ყველაფერი რომ შევიცნო, როგორც დამპირდი!
ლ უ ც ი ფ ე რ ი (განზე).
ერთიც იქნება, ამოგივა ყელში ეგ ცოდნა!
და მოინატრებ იმ არცოდნის კვლავ დაბრუნებას.
(ხმამაღლა)
სჯობს მოითმინო! ერთი წამიც სიტკბოებისა
ბრძოლის გარეშე არ გვეძლევა! შეცნობის გზაზე
იმედის ხშირი გაცრუებაც, სხვა და სხვა სკოლაც,
სხვადასხვაგვარი მდინარებაც მრავლად შეგხვდება,
ვიდრე ყველაფერს მისწვდებოდე და გაიგებდე!
ა დ ა მ ი. მოთმინებისკენ მომიწოდებ! მერე რა არის
ეგ მოთმინება ნეტავ შენთვის, შენ ხომ წინა გაქვს
ცხოვრების მთელი უსასრულო მარადისობა;
მარად ცხოვრების ხის ნაყოფი არ მიგემნია
და ქვეყანაზე ჩემი ყოფის ვადა ხანმოკლე
მაჩქარებს ასე და მოთმენას აღარ მანებებს.
ლ უ ც ი ფ ე რ ი. ამქვეყნად ყოფნის ვადა ყველას განსაზღვრული
აქვს!
მაგარ მუხასაც და ერთდღიან სუსტ პეპელასაც.
ყველა ასეა: თავისთავის შეცნობის მერე
აღტკინებული ტრფობას, ხალისს ეწაფებიან,
როს მიაღწევენ საბოლოო ზღვარს ცხოვრებისას
ოცნებისაგან დაცლილები იღუპებიან.
არა, დრო კი არ გადის, თვითონ ჩვენვე ვიცვლებით.
ბოლოს და ბოლოს, საუკუნე და ერთი წამი
თითქმის ერთია, ნუ შეკრთები, მიაღწევ მიზანს!
ესეც იცოდე, პიროვნება უფრო დიდია
და ის არ არის მხოლოდ თვისი სხეულის მონა.
თვითვე განსაჯე! ხომ გინახავს ჭიანჭველების,
ანდა ფუტკრების ბუდე? აბა? ათასი მწერი
დაფაციფუცობს აქეთ-იქით, აგებს შენობას,
შეუგნებლად და ბრმა ინსტინქტით, დახეტიალობს,
და მაგრამ, მაინც, ძირითადად, ვით ერთი მთელი,
ერთი ოჯახი გამართული, მტკიცე და მყარი
ერთად ცხოვრობენ, აკეთებენ საერთო საქმეს.
მიზანს ელტვიან დაჟინებით და შეურყევლად,
ვიდრემდე მათთვის დადგებოდეს დღე აღსასრულის!
ფერფლით აღმდგარი, მართალია, ფერფლად იქცევი!
მაგრამ ფერფლიდან კვლავ აღსდგები! ათას სხეულში
განაწილდება შენი სახე, შენს შეცოდებას
გამოისყიდი შენივე შვილით. და შენს ტკივილებს
მასვე გადასცემ სიცოცხლის წყურვილთან ერთად.
შენს ნაშიერში გაგრძელდება სიცოცხლე შენი!
მასში იცოცხლებ და ყველაფერს, რასაც მიაღწევ,
მილიონ წელთა მანძილზე ხარ მისი მფლობელი.
ა დ ა მ ი. ასე ბებერი შეაჯამებს თავის ცხოვრებას!
ჩემს გულს ჭაბუკურს სხვა ფიქრი აქვს, და სხვა მიზნები;
მინდა მომავალს შევაგებო გამჭოლი მზერა,
ვიხილო ყველა, რისთვის ვიბრძვი და ვიტანჯები!
ე ვ ა. მე კი მსურს ვიყო მუდამ ასე მშვენებით სავსე
და არ დავკარგო ეს სინორჩე და სილამაზე!
ლ უ ც ი ფ ე რ ი. მაშ დაგაძინებთ მე თქვენ ახლა ჯადოსნურ ძალით,
თქვენს წინ გაივლის დროთა წყება, ცვალებადობა,
მაგრამ როს ნახავთ, რა ძნელია ტვირთი ჭიდილის,
რა უმნიშვნელო ის მიზანი, ელტვით რომელსაც,
რომ არ შედრკეთ და არ დასტოვოთ ველი ბრძოლისა,
ზეცის ტატნობზე გავისროდი სხივს მოციაგეს.
ის გაგამხნევებთ, გაგახსენებთ დაღლილ-დაქანცულთ,
რომ კვლავ ლიცლიცებს თქვენი ლტოლვა, თქვენი მიზანი
და დაგანახებთ მირაჟს.
ამ სხივს იმედი ჰქვია!
(მიჰყავს ადამი და ევა ქოხში, სადაც ისინი იძინებენ)

ეროვნული ბიბლიოთეკა